ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

EMC მარნეულსა და ბოლნისში შექმნილ სოციალური კრიზისს ეხმიანება

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) 23 მარტს კარანტინის რეჟიმის გამოცხადების შემდეგ მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში შექმნილ მძიმე სოციალურ მდგომარეობას აფასებს და საქართველოს მთავრობას მოუწოდებს, შეიმუშაოს კრიზისულ ვითარებაში სოციალური მხარდაჭერის ადეკვატური პოლიტიკა და მათ შორის, უზრუნველყოს კარანტინის რეჟიმში მყოფი რეგიონების ეფექტიანი ჰუმანიტარული მხარდაჭერის პროგრამების დანერგვა.

ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი ეფუძნება მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესახებ მედიაში მომზადებული მასალებისა და EMC-ს ცხელი ხაზის მეშვეუბით მიღებულ მონაცემებს. 3 კვირის განამვლობაში EMC-ის 100 ზე მეტ ოჯახი დაუკავშირდა, დახმარების თხოვნით.. მომართვების ყველაზე დიდი ნაწილი სახელმწიფოსგან ჰუმანიტარული მხარდაჭერის მიღებისა და მძიმე სოციალური საჭიროებების გადაჭრის თხოვნას უკავშირდებოდა, რაც მუნიციპალიტეტებში შექმნილ სოციალურ და ჰუმანიტარულ კრიზისზე მიუთითებს.

კარანტინის რეჟიმი და შექმნილი სოცილაური კრიზისი

ქვეყანაში და რეგიონში სოციალური გარემოს ზოგადი მიმოხილვა

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობა საგანგებო მდგომარეობის პირობებში კიდევ უფრო მეტად გართულდა და ათიათასობით ოჯახი ყოველდღიური შემოსავლის გარეშე, კიდევ უფრო მძიმე სიღარიბის და დაუცველობის მდგომარეობაში ჩააგდო. სოციალური ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა კარანტინის პირობებში იზოლირებულ ქალაქებსა და სოფლებში, სადაც ისედაც არსებობდა სტრუქტურული პრობლემები სოციალურ ინფრასტრუქტურაზე და სერვისებზე წვდომის კუთხით. ამ კუთხით არა ერთი გამოწვევა დგას ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში, რომელიც მოსახლეობის დიდ ნაწილს ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ და უმცირესობების მიმართ პოლიტიკის ფუნდამენტური ხარვეზები მათ ექსკლუზიას და მოწყვლადობას აღრმავებს.

ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები ქვეყანაში სიღარიბისა და სოციალურ მოწყვლადობის მაღალ მონაცემებს აჩვენებს. UNICEF კვლევის მიხედვით საქართველოში ზოგადი სიღარიბის დონე გაიზარდა. თუ 2015 წელს ეს მაჩვენებელი შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 16.4%-ს შეადგენდა, 2017 წელს ის 19.6%-მდე გაიზარდა. საქართველოში ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს შინამეურნეობების 19.6%, მოსახლეობის 21.7%, ბავშვების 27.6% და პენსიონერების 17.6%. აღსანიშნავია, რომ ბავშვიან შინამეურნეობებში სიღარიბის მაჩვენებლები უფრო მაღალია. ყოველი მეხუთე ბავშვი ისეთ შინამეურნეობაში ცხოვრობს, რომლის წევრთა მინიმალური მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელია.

NDI, CRRC, UK Aid 2019 წლის გამოკითხვა აჩვენებს, რომ გამოკითხულთა 61% თავს დასაქმებულად არ თვლის, უმცირესობათა დასახლებებში კი ეს მაჩვენებელი 78%, სოფელში კი - 68%. გამოკითხულა 54% თვლის, რომ საჭიროების შემთხვევაში, უპროცენტოდ 300 ლარს ვერ ისესხებს. გამოკითხულთა 54%-ს აქვს აღებული სესხი. უმცირესობათა დასახლებებში ეს მაჩვენებელი 61% არის. გამოკითხულების 88%-ს კი საერთოდ დანაზოგი არ აქვს. სოფელში ეს მონაცემი 94%-ს აღწევს. [1] აღსანიშნავია, რომ დანაზოგის არ ქონის მაჩვენებლით პირველ ადგილზეა გურია, შემდეგ შიდა ქართლი და **ქვემო ქართლი.** [2]

მთელ საქართველოში არსად, თბილისის გარდა, შინამეურნეობების წილი, რომელთა ერთი წევრი მაინც მაღალი კვალიფიკაციით არის დასაქმებული, 30 პროცენტს არ აღემატება. აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემი ყველაზე დაბალია სამცხე-კავახეთში, შემდეგ შიდა ქართლსა და **ქვემო ქართლში.** [3]

სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტის 2019 წლის კვლევის მიხედვით, უმცირესობის წარმომადგენლების 28.7% ეკონომიკურად არააქტიურია, ხოლო 23.7% - უმუშევარი, რაც აღემატება საქართველოს მოსახლეობის უმუშევართა რიცხვს (საქსტატის მიხედვით, 2017 წელს უმუშევარი იყო მოსახლეობის - 13.9%).

ქვემო ქართლის რეგიონში მოსახლეობის დიდი ნაწილი თვითდასაქმებულია და ყოველდღიური შრომით ირჩენს თავს, უმრავლესობა მათგანი სასოფლო სამეურნეო საქმიანობით არის დაკავებული, ან სეზონურად უცხო ქვეყნებში მუშაობით ირჩენს თავს. [4] ამ რეგიონში მიწის უსამართლო განაწილების გამო ადგილობრივი გლეხების დიდი ნაწილი კერძო არენდატორების მიწებზე იაფ მუშახელად მუშაობს (2011 წლის მონაცემით ქვემო ქართლის მოსახლეობის 43 % დაქირავებული შრომიდან იღებს შემოსავალს). მცირე ნაწილი ვაჭრობაში არის ჩართული. ამდენად ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალი ყოველდღიურ შემოსავალზეა დამოკიდებული მყიფეა.

ამდენად, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგობარეობის ფონზე, განათლების, დასაქმების, ენის პოლიტიკაში არსებული გამოწვევები და ეთნიკური უმცირესობების დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა ეთნიკური უმცირესობების სოციალურ ექსკლუზიას და მოწყვლადობას ზრდის. მეტიც, სოფლის მეურნეობის წარმოებაში ქვემო ქართლის რეგიონის მნიშვნელოვანი როლისა და შრომის მიუხედავად (ქვემო ქართლის რეგიონი პირველ ადგილზეა ბოსტნეულის, ხორცის წარმოებაში და მეორე ადგილზე - რძის წარმოებაში)[5], ამ რეგიონში სოციალური ინფრასტრუქტურა და წვდომა სოციალური სერვისებზე მკვეთრად დაბალია.

---

[1] საზოგადოების განწყობა საქართველოში 2019 წლის ივლისის გამოკითხვის შედეგები (NDI, CRRC, UK Aid), ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll-Issues_GEO_For%20distribution_VF.pdf?fbclid=IwAR1xDdHW--NBi9VLTSEvXdRCXD5Td3p99zMA_e2FLjpnTWPxzGOYekn-w5Y

[2] საშუალო კლასი საქართველოში საქართველოში: რაოდენობრივი შეფასება 2018 (ებერტი), ხელმისაწვდომია: https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2674.pdf?fbclid=IwAR32EO0POUc55BZV2qzkz64T6GjQbysYWNjeLJ3TXoAMna8br3dxDNnuL6k

[3] იქვე.

[4] უშუალოდ ქვემო ქართლის მონაცემების (2011 წელი) ანალიზი აჩვენებს, რომ მოსახლეობის 43% დაქირავებული შრომიდან იღებს შემოსავალს, 15 % - არაფულადი შემოსავლით, 7 % - საჩუქრად მიღებულ შემოსავალს, 5 % - ფულად გზავნილებს, 14 % - დამოკიდებულია პენსიებზე, დახმარებაზე, სტიპენდიაზე, 12 % სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან იღებს შემოსავალს, 6% კი თვითდასაქმებულია. იხილეთ ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/275_38366_523465_136517.09.13%E2%80%931.pdf?fbclid=IwAR0QYjnJjnAEv4d8IfrCfZ8nk4dJ3yWu2lgYv1Ugqv9Pf0EkDb9Z_l4mcqs

[5] საქსტატის ინფორმაციით (2018 წლის მონაცემებით), ქვემო ქართლი პირველ ადგილზეა, ჯამურად, ყველა სახის ხორცის წარმოებაში, ასევე, პირველ ადგილზეა ფრინველის ხორცის წარმოებაში. ქვეყნის მასშტაბით რძის წარმოებით

ბოლნისში და მარნეულში შექმნილი მძიმე სოციალური მდგომარეობა და ხელისუფლების არასათანადო პასუხი

ბოლნისის და მარნეულის მუნიციპალიტეტების სოფლებში წვდომა ბაზისურ სოცილურ რესურსებზე, მათ შორის, მიწაზე, წყალზე შეზღდულია. ამ სოფლებში ხშირად არ არის სასურსათო მაღაზიები, ან ამგვარი სივრცეების არსებობის შემთხვევაში, მასში არსებული პროდუქტი იმდენად მწირია, რომ ვერ აკმაყოფილებს სოფლის მოსახლეობის საჭიროებას. სოფლების ძირითად ნაწილში არ არის აფთიაქი.

მას შემდგომ, რაც საკარანტინო რეჟიმის ამოქმედებისთანავე, შეწყდა შიდა გადაადგილებები და დაიხურა ბაზრები, მოსახლეობის დიდი ნაწილი შემოსავლის გარეშე დარჩა. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ ქონდა მომარაგებული სათანადო რაოდენობის სურსათ-სანოვაგე და არც ფინანსური დანაზოგები გააჩნდათ კრიზისისთვის. გაზაფხულის პერიოდში სათბურებში მოყვანილი ბოსტნეულის ნაწილი რეალიზებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, გაფუჭდა.

ამ რეალობაში არც ადგილობრივი ხელისულფებები და არც ცენტრალური ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად სათანადოდ ეპასუხა სამსახურის და შემოსავლის გარეშე დარჩენილი ოჯახების საჭიროებებისთვის.

სოციალურად დაუცველი ოჯახების სტანდარტული მხარდაჭერის მიღმა, სახელმწიფოს არ დაუნიშნავს უმუშევრობის შემწეობა ან სხვა სოციალური მხარდაჭერის პროგრამები შემოსავლის გარეშე დარჩენილი ოჯახებისთვის. ადგილობრივი თვითმმართველობების ერთჯერადი ჰუმანიტარული მხარდაჭერა კი მწირი, ფრაგმენტული და შეზუდულია. ადგილობრივ თვითმმართველობების სოციალური პოლიტიკა ქველმოქმედების ფორმას უფრო ატარებს და არ არის ორიენტირებული მდგრადი სერვისების და მხარდაჭერის შექმნაზე. პრობლემაა ადგილობრივი თემის სოციალური მოწყვლადობისა და საჭიროებების კვლევის და სათემო სოციალური მუშაკების კადრების რესურსის არქონაც.[6]

EMC-ს ორენოვან ცხელ ხაზზე 3 კვირის განმავლობაში შემოსული ზარების უმეტესობაში, 100 მოთხოვნიდან 80 ოჯახი ჰუმანიტარულ და სოციალურ დახმარებას ითხოვდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი აღნიშნავდა, რომ ისინი ყოველდღიურ სარჩოზე, სოფლის მეურნეობაზე და დღიურ მუშად დასაქმებაზე იყვნენ დამოკიდებულნი.[7] შემოსავლის ერთადერთი წყაროს შეწყვეტამ კი ოჯახები დატოვა შიმშილის რისკის წინაშე. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ჩვენს ცხელ ხაზზე შემოსული ზარების შესახებ ინფორმაცია ყოველდღიურ რეჟიმში მიეწოდება EMC-ის გუნდის მიერ. 3 კვირის განმავლობაშიმიღებული მოთხოვნების მონიტორინგის შემდეგ გამოჩნდა, რომ 80მდე ჰუმანიტარული დახმარების მოთხოვნიდან მუნიციპალიტეტის მიერ მხოლოდ 14 მოთხოვნა დაკმაყოფილდა, დამატებით

კი რეგიონი მეორე ადგილზეა (მცირედით ჩამორჩება იმერეთს, თუმცა ბევრად უსწრებს დანარჩენ რეგიონებს). ქვემო ქართლი პირველ ადგილზეა კვერცხის წარმოებით და თითქმის ორჯერ უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ რეგიონს და რამდენჯერმე მეტს აწარმოებს, ვიდრე სხვა რეგიონები. მთელი საქართველოს მასშტაბით, ეს რეგიონი პირველ ადგილზეა ბოსტნეულის წარმოებაში. უფრო ზუსტად, ქვეყნის მასშტაბით მეორე ადგილზეა კარტოფილის წარმოებაში, სამცხე-ჯავახეთის შემდეგ და მეორე ადგილზე - ლობიოს წარმოებაში, შიდა ქართლის შემდეგ. იხილეთ რადიო თავისუფლების მიერ მომზადებული სტატისტიკური მასალა, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/30506893.html

[6] შემოსავლის ერთადერთი წყაროს გარეშე დარჩენილი - მარნეულის ჩაკეტვით შეცვლილი ცხოვრება https://www.marneulifm.ge/ka/siakhleebi/article/28958-shemosavlis-erthaderthi-tsyaros-gareshe-darchenili-marneulis-chaketvith-shecvlili-ckhovreba

[7] მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში მიწის ნაკვეთების დასახნავად მოსახლეობისათვის დახმარებებზე არ უმსჯელიათ. https://www.marneulifm.ge/ka/siakhleebi/article/28936-marneulis-meria-mitsis-nakvethebis-dakhvnashi-mkholod-socialurad-daucvelebs-daekhmareba

3 მოთხოვნაზე ადგილობრივმა იმამ ალის მეჩეთმა, ასევე ევანგელურ-ბაპტისტურმა ეკლესიამ იზრუნა და გასცა ჰუმანიტარული დახმარება.

იმ პირობებში როცა ჰუმანიტარული დახმარების მთხოვნელთა სიაში იყვნენ ოჯახები მცირეწლოვანი ბავშვებით, ასევე მარტოხელა მოხუცები, და დღეს ისინი კვლავ ამ დახმარების მიღმა არიან დარჩენილები, გაუგებარია რა სტრატეგიით და მიდგომებით გასცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს დახმარება.

აქვე აღსანიშნავია რომ ჰუმანიტარული დახმარებები იყო ფრაგმენტული და არასაკმარისი იმ პირობებში,როცა ოჯახები 1 თვის განმავლობაში შემოსავლის წყაროს გარეშე არიან დარჩენილები. პრობლემურია სასურსათო პაკეტების მოცულობა, ვინაიდან მრავალსულიანი ოჯახები, იღებენ იმავე რაოდენობის სურსათს, რომელსაც მცირე ოჯახები.

გარდა ამისა, მონიტორინგისას არაერთმა მოქალაქემ აღნიშნა, რომ ჰუმანიტარული დახმარებები რიგდება უსამართლოდ და ჩანს ნეპოტიზმის ნიშნები. განსაკუთრებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ჰქონდათ განცდა, რომ მერია არასათანადოდ რეაგირებს მათ მოთხოვნებზე და რესურსებსაც უსამართლოდ ანაწილებს.

არაერთმა მოქალაქემ მოგვმართა, რომ როდესაც ისინი პირდაპირ უკავშირდებიან მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ პირს საკუთარი პრობლემებით, თუმცა მისგან უხეშ და არასათანადო პასუხს იღებდნენ, რომ მიმართონ სოფლის რწმუნებულს, რაც დამატებითი პრობლემაა არაერთი ადამიანისთვის, ვინაიდან, ზოგი საერთოდ არ იცნობს რწმუნებულს, ზოგმა კი განგვიცხადა, რომ მასთან კონფლიქტურ სიტუაციაშიადა შესაბამისად, აქვთ მოლოდინი, რომ ისინი ვერ მოხვდებიან ჰუმანიტარული რესურსის მიმღებთა სიაში.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ჰუმანიტარული მხარდაჭერის პროცესი უფრო მოქნილი და აქტიური იყო, თუმცა, მისი მხარდაჭერის მიმღები პირების წრე ასევე შეზღუდულია. დახმარების გაცემის კრიტერიუმები კი მაინც ბუნდოვანი ჩანს. ამდენად, აუცილებელია არსებობდეს სამართლიანი კრიტერიუმები და სტრატეგია, სოციალური დახმარების საჭიროების მქონე ოჯახების ბაზის სახით, რომლის საფუძველზეც ორგანიზებულად მოხდება ოჯახების დახმარება.

EMC-ის ცხელ ხაზზე მომართეს სისეთმა ადამიანებმაც, რომლებიც მუნიციპალიტეტს გარეთ, ძირითადად თბილისში იყვნენ დასაქმებულები და საკარანტინო რეჟიმის ამოქმედებისთანავე დაკარგეს სამუშაო, რაც ნიშნავს რომ დარჩნენ ყოველგვარი შემოსავლის გარეშე. გარდა ამისა, ბევრი თბილისში დასაქმებული დარჩა დედაქალაქში, სადაც უწევს იხადოს ბინის ქირაც, მაშინ როცა სამსახური დაკარგეს და დღეს ყოველგვარი საარსებო საშუალების გარეშე არიან დარჩენილები. დედაქალაქის მუნიციპალიტეტი მათ მარნეულის და ბოლნისის ადმინისტრაციებში ამისამართებს, მათი რეგისტრაციის შესაბამისად და არანაირ დახმარებას არ უწევს. თუმცა, ეს ადამიანები ვერც მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებიდან იღებენ დახმარებას.

როგორც ჩვენი დაკვირვება აჩვენებს მუნიციპალიტეტების მხრიდან რეაგირება მოსახლეობის ჰუმანიტარულ და სასურსათო პრობლემებზე ხდება გვიან, რაც მათ შორის, სათანადო გამოცდილების და კვალიფიკაციის მქონე სოციალური მომსახურების მუშაკების კადრების ნაკლებობის პრობლემას უკავშირდება.

მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს სასმელ წყალზე წვდომის შეზღუდულობა. სასმელი წყლის რესურსის კვლავ არარსებობის გამო მოსახლეობას უწევს მეზობელ სოფლებში არსებული წყაროებიდან მოიმარაგონ წყალი ოჯახებისთვის. ამისთვის სოფლად მაცხოვრებელიადამიანები ერთიანდებიან და ავტომობილებით გადაადგილებიან მეზობელ სოფლებში და შესაბამისად, ვერ იცავენ იმ წესებს, რაც მანქანით გადაადგილებისთვის დაადგინა მთავრობამ. ცალკე

საკითხია სოფლის წყაროზე მოსახლეობის შეკრებაც, რაც დამატებით რისკებს ქმნის.. ამ მომენტში დაფიქსირდა ადამიანების დაჯარიმების ფაქტიც შეკრების გამო.

აღსანიშნავია, რომ კარანტინის რეჟიმის გამო შექმნილი მძიმე სოციალური კრიზისი მოსახლეობამ გააპროტესტა[8] საკუთარი ეზოებიდან ავტომობილების საყვირებით, სტვენით და ტაშით, რასაც მოჰყვა სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოძიების დაწყება სისხლის სამართლის კოდექსის 318 მუხლის საფუძველზე, რომელიც საბოტაჟის დანაშაულს განსაზღვრავს. ნიშანდობლივია, რომ მოსახლეობის სოციალურ პროტესტს ხელისუფლებამ არ უპასუხა ქმედითი ზომებით რომელიც მიმართული იქნებოდა არსებული კრიზისის შესამსუბუქებლად, არამედ დასჯით ზომებს მიმართა.[9] მძიმე სოციალურ სიტუაციას მოსახლეობამ ადგილზე მობილიზებით და ჰუმანიტარული დახმარებების დარიგებით უპასუხა, თუმცა ადგილობრივმა თვითმმართველობამ მანქანებით გადაადგილების შეზღუდვა ამგვარ ჰუმანიტარულ აქციებზეც გაავრცელა.[10]

თემთან კომუნიკაციის ხარვეზები და დაჯარიმების აგრესიული პრაქტიკა

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე ეთნიკური უმცირესობების სათანადო ინფორმირება ვირუსის გავრცელებასა და პრევენციასთან დაკავშირებით ნაკლებად ხდებოდა. ინფორმაციის უკეთ ორგანიზებულად გავრცელება ,23 მარტის შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის თერით, ასევე სახელმწიფო რწმუნებულის ვებ-გვერდისა და ბუკლეტების გზით დაიწყო.გავრცელება. თუმცა, ენის და კომუნიკაციის პოლიტიკაში მაინც არსებითი ხარვეზებია. მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ-გვერდები და ზოგიერთ შემთხვევაში სოციალური ქსელები უმცირესობების ენაზე ინფორმაციის გავრცელებას არ უზრუნველყოფენ. საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელეეთერში კი ინფორმაცია მხოლოდ ცოტა ხნით გადის და მწირია (დღის განმავლობაში თითოეულ ენაზე გასული ინფორმაცია ჯამში 10 წუთს შეადგენს.).[11] ინტერნეტზე წვდომის მაჩვენებელი კი რეგიონში დაბალია. ამ პირობებში გადაადგილებასთან და სხვა სამართლებრივ შეზღუდვებთან დაკავშირებული ინფორმაცია ადგილობრივ მოსახლეობას მაინც არასაკმარისად მიეწოდებოდა.

მოსახლეობის მძიმე სოცილაურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს პოლიციის მხრიდან აგრესიული დაჯარიმების ფაქტები. დაჯარიმების მიზეზი რ ხშირად ისაა, რომ მოსახლეობა სათანადოდ ინფორმირებული არ არის. აღსანიშნავია, რომ ამ რთულ ვითარებაში პოლიცია ნაკლებად ცდილობდა ინფორმირების და პრევენციის როლის შესრულებას და აგრესიული დაჯარიმების პრაქტიკაზე უფრო არის გადასული. მაგალითად, არასათანადოდ მიწოდებული ინფორმაციის გამო, საკარანტინო რეჟიმის გამოცხადების შემდგომ, ბოლნისის და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ფიქრობდა, რომ გამოცხადებული რეჟიმი ეხებოდა მხოლოდ მუნიციპალიტეტის ქალაქებს და სოფლებში საკარანტინო წესები არ მოქმედებდა. ამის გამო არაერთი მოქალაქე დაჯარიმდა.

---

[8] #დაასიგნალე, #გააპროტესტე - მარნეულელების საპროტესტო აქცია კომენდანტის საათის დროს: https://www.marneulifm.ge/ka/marneuli/article/28915--daasignale-gaaproteste-marneulelebis-saprotesto-aqcia-komendantis-saathis-dros?fbclid=IwAR2_fCvred84qopRfmwuYWN6DJm_NMD1-ASXo86w99UNi5Uuwh4rM3egdbI

[9] EMC მირტაგი ასადოვის გამოკითხვის პროცესს და მის სამართლებრივ და სოციალურ კონტექსტს აფასებს: https://emc.org.ge/ka/products/emc-mirtagi-asadovis-gamokitkhvis-protsess-da-mis-samartlebriv-da-sotsialur-konteksts-afasebs

[10] ავტომობილის საშვზე მიღებული არაოფიციალური უარი და ვირით დარიგებული პროდუქტები https://www.marneulifm.ge/ka/siakhleebi/article/29129-avtomobilis-sashvze-mighebuli-araoficialuri-uari-da-virith-darigebuli-produqtebi

[11] EMC-ის განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/ka/products/emc-sakartvelos-sazogadoebriv-mautsqebels-mimartavs

მას შემდგომ, რაც საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებაში მგზავრთა განთავსების წესები დაწესდა, არაერთი მოქალაქე დაჯარიმდა საკუთარ სოფელში, მეუღლესთან ან ოჯახის სხვა წევრთან ერთად, ავტომანქანაში ჯდომის წესების დარღვევის გამო. აღსანიშნავია, რომ საპატრულო სამსახურის ეკიპაჟებმა, მარნეულისა და ბოლნისის სოფლებში პატრულირებამთავრობის დადგენილების მიღებისთანავე დაიწყეს, მაშინ როდესაც მოსახლეობას სათანადო ინფორმაცია არ ჰქონდა ამ წესების ამოქმედების შესახებ.

ინფორმაციის არასწორად ან არასათანადოდ მიწოდება გახდა დაჯარიმების მიზეზი ერთი მუნიციპალიტეტიდან მეორეში გადაადგილების დროსაც. კონკრეტულად, ოჯახს, რომელიც მარნეულის მუნიციპალიტეტში გავლით გადაადგილდებოდა, მუნიციპალიტეტის საზღვრის კვეთისას სათანადოდ ვერ განუმარტეს, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაჩერება არ შეეძლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოუწევდათ საკარანტინო 14 დღიანი პერიოდის გავლა. იმის გამო რომ ამ ტერიტორიაზე მაღაზიაში გაჩერდნენ, მთელ ოჯახს მოუწია მუნიციპალიტეტში დარჩენა, ამასთან სასტუმროში ხარჯიც თავად გაიღეს. მათ საზღვარზე არ განუმარტეს, რომ შეეძლოთ მუნიციპალიტეტიდან აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება მოეთხოვათ.

ცხელ ხაზზე მოგვმართა არაერთმა მოქალაქემ რომელიც ბოლნისის და მარნეულის მუნიციპალიტეტებს სხვადასხვა მიზეზით დროებით სტუმრობდა, განსაკუთრებით ნოვრუზ ბაირამის აღნიშვნის მიზნით. კარანტინის გამოცხადების შემდეგ მათ ვეღარ შეძლეს დაბრუნება საკუთარ საცხოვრებელ ადგილას. მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლებიც დროებით იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და საკარანტინო ზომების მიღების გამო ვერ მოასწრეს ტერიტორიის დატოვება, ეხმარება შინაგან საქმეთა სამინისტრო ტერიტორიის დატოვებაში. თუმცა ზოგიერთი მათგანი ორ კვირაზე მეტია ელოდება ნებართვას, რათა დატოვოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია.უმეტესობა აღნიშნავს, რომ მატერიალური რესურსები არ გააჩნიათ და სჭირდებათ საცხოვრებელ ადგილას დროული დაბრუნება.

რეკომენდაციები

ზემოთ აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით EMC მიიჩნევს, რომ არსებითია:

1. შექმნილი რთული სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით **მთავრობამ** შეიმუშაოს შემოსავლის გარეშე დარჩენილი ოჯახების/ადამიანების შემწეობისა და ადეკვატური სოციალური მხარდაჭერის პროგრამები;
2. მკაცრი კარანტინის რეჟიმში იზოლირებული რეგიონებისთვის, მათ შორის, ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებისთვის **მთავრობამ** გამოყოს სათანადო ჰუმანიტარული რესურსი ადგილობრივი თემის მწვავე სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით;
3. მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან სოფლის მეურნეობის ტვირთის გამოტანის, ჩაბარების და რეალიზების პროცესი **მთავრობის** მკაცრ მონიტორინგს დაექვემდებაროს და ადგილობრივი თემის კონსულტაციების გზით ეს პროცესი უფრო სამართლიანი და ადეკვატური გახდეს;
4. **მარნეულისა და ბოლნისის თვითმმართველობების** სოციალური მხარდაჭერის და ჰუმანიტარული რესურსების განაწილების პროგრამები დაეფუძნოს ოჯახების სოციალური მოწყვლადობის შეფასების უფრო ფართე და სამართლიან სოციალურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებს და მათი მუშაობა გახდეს უფრო ოპერატიული, პროფესიონალური და მიუკერძოებელი;
5. **მარნეულისა და ბოლნისის თვითმმართველობებმა** მოახდინონ წყლის რესურსებისა და ინფრასტრუქტურის არმქონე სოფლების მომარაგება.
6. **მარნეულისა და ბოლნისის თვითმმართველობებმა** უზრუნველყონ მათი ვებ-გვერდებისა და სოციალური ქსელების უმცირესობების ენებზე მართვადა პანდემიასთან, საგანგებო

მდგომარეობასთან,მთავრობის პოლიტიკასთან და სოციალური პოლიტიკასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება;

7. დაწესებული შეზღუდვების და საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, **მარნეულისა და ბოლნისის თვითმმართველობებმა** გაიაზრონ მოსახლეობასთან რეგულარული კომუნიკაციისა და მათი საჭიროებების, წუხილებისა და ინტერესების დემოკრატიული გზებით მოსმენისა და გათვალისწინების მნიშვნელობა;
8. **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** გაიაზროს პოლიციის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის მნიშვნელობა და საგანგებო მდგომარეობისა და გაზრდილი პასუხისმგებლობების მიუხედავად თემზე ორიენტირებული პოლიციის მიდგომებით იმუშავოს;
9. **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** გაითვალისწინოს კარანტინის რეჟიმში მყოფი სოფლების მწვავე სოციალური საჭიროებები და დაჯარიმების პრაქტიკა თანაზომიერად და სოცილაურად მგრძნობიარედ გამოიყენოს;
10. **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** გააძლიეროს თემთან კომუნიკაციის მნიშვნელობა და ველზე მომუშავე საპოლიციო ჯგუფებში აქტიურად ჩართოს თავად უმცირესობების წარმომადგენელი პოლიციელები, რაც, მათ შორის, თემთან კომუნიკაციასთან და ნდობასთან დაკავშირებულ სირთულეებს დააზღვევს.